ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 39

24.01.2020
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 24 იანვარს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის **„კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში“ (კოდი:08.11)** ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი) (საფუძველი: 34-01200163249, 16.01.2020; 32-01200211247, 21.01.2020; 30-0120017244, 17.01.2020; 36-01200201189, 20.01.2020; 33-01200202430, 20.01.2020; 37-0120023634 23.01.2020; 31-01200171562, 17.01.2020; 35-01200223587, 22.01.2020; 38-0120017611, 17.01.2020; 39-01200212725, 21.01.2020.) (მომხსენებელი - თამარ ტალიაშვილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე)*

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული **„ეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში“ (კოდი: 020910-020919)** ფარგლებში განხორციელებული

სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი) (საფუძველი: 34-01200163249, 16.01.2020; 32-01200211247, 21.01.2020; 30-0120017244, 17.01.2020; 36-01200201189, 20.01.2020; 33-01200202430, 20.01.2020; 37-0120023634 23.01.2020; 31-01200171562, 17.01.2020; 35-01200223587, 22.01.2020; 38-0120017611, 17.01.2020; 39-01200212725, 21.01.2020.) (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

სხდომა წარიმართა სარევიზიო და განათლებისა და კულტურის კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის *,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" (კოდი: 08.11)* ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაცია - კომისიებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ.

თამარ ტალიაშვილი - 2019 წელს საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლის თანახმად მიზანშეწონილია კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიშალოს დედაქალაქის მასშტაბით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში'' (კოდი: 08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფის ხელშეწყობა, რა დროსაც ასახული უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესები. შესაძლებელია გამგეობების გაერთიანება ცალკეული პროექტების მიმდინარეობისას. სწორედ მსგავსი საჭიროებები იქნა გათვალისწინებული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ კრწანისის რაიონში ღონისძიებების ჩატარებისას. კომისიის შემდეგ სხდომაზე, რომელსაც რაიონების კურატორი წარმომადგენლები და შესაბამისი განყოფილებების ხელმძღვანელები დაესწრებიან, მსჯელობა შეეხება აქტივობებსა და დაგეგმილ პროექტებს, რა დროსაც, თბილისის საკრებულოს კომისიები წარადგენენ თავიანთ რეკომენდაციებს.

გასულ წელს არაერთი ღონისძიება და პროექტი განხორციელდა რაიონული გამგეობების მხრიდან, მათ შორის: **გლდანის რაიონში** ჩატარდა 12 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 98.1 ათასი ლარი; **დიდუბის რაიონში** ჩატარდა 12 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 99.9 ათასი ლარი; **ვაკის რაიონში** ჩატარდა 11 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 93.4 ათასი ლარი; **ისნის რაიონში** ჩატარდა 13 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 95.0 ათასი ლარი; **კრწანისის რაიონში** ჩატარდა 13 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 109.7 ათასი ლარი; **მთაწმინდის რაიონში** ჩატარდა 10 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 99.9 ათასი ლარი; **ჩუღურეთის რაიონში** ჩატარდა 13 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 99.6 ათასი ლარი; **საბურთალოს რაიონში** ჩატარდა 15 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 98.6 ათასი ლარი;

სამგორის რაიონში ჩატარდა 12 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 91.6 ათასი ლარი; **ნაძალადევის რაიონში** ჩატარდა 13 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 90.3 ათასი ლარი. მთლიანობაში ათივე რაიონული გამგეობის მიერ ჩატარდა 124 ღონისძიება, რაზეც დაიხარჯა 976.7 ათასი ლარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის *,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" (კოდი:08.11)* ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაცია *(საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი)*".

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში" (კოდი: 020910-020919) ფარგლებში განხორციელებული სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის - კომისიებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

გიორგი ჩაკვეტაძე - თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია ექვს თვეში ერთხელ, მართავს სამუშაო შეხვედრას რაიონულ გამგეობებთან, ამავდროულად სისტემატიურად იღებს ინფორმაციას თბილისის გამგეობების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ, რაც ზრდის გამგეობების ანგარიშვალდებულების ხარისხს. როგორც წარმოდგენილი მასალებიდანაც ჩანს, თბილისის ათივე რაიონში მოეწყო სპორტული ინფრასტრუქტურა. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მონიტორინგი. აღნიშნულის გათვალისწინებით 137 მისამართზე მოეწყო ფიტნეს ტრენაჟორები, რაიონულმა გამგეობებმა **3 207.2** ათასი ლარი დახარჯეს, ხოლო სპორტული მოედნების მშენებლობასა და აღდგენა/რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა **5 193.0** ათასი ლარი, რის ფარგლებშიც მოეწყო **20** ახალი სტადიონი და აღდგა **119** სტადიონი, მათ შორის აღსანიშნავია საბურთალოს და მთაწმინდის რაიონებში თანამედროვე ევროპული სტანდარტების ფიტნეს სივრცეების მოწყობა ანტივანდალური მასალით და შესაბამისი ინსტრუქციებით, როგორც დამწყები ასევე პროფესიონალური დონის გათვალისწინებით. საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნების გარდა სასიხარულოა, რომ ნაძალადევის რაიონში (თბილისის ზღვაზე) მოეწყო ფრენბურთის ქვიშის მოედანი, ხოლო გლდანის VI მიკრო რაიონში ექსტრემალური სპორტის სახეობების მოედანი (სკეიდ-პარკი). რაიონების მიხედვით მდგომარეობა ამგვარია: **გლდანის რაიონში** მოეწყო 24 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 351.7 ათასი ლარი. აღდგა 25 სტადიონი, მოეწყო 6 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 683.0 ათასი ლარი; **დიდუბის რაიონში** მოეწყო 31 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 561.1 ათასი ლარი, აღდგა 26 სტადიონი, დაიხარჯა 164.0 ათასი ლარი; **ვაკის რაიონში** მოეწყო 18 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 298.9 ათასი ლარი. აღდგა 2 სტადიონი, მოეწყო 2 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 261.9 ათასი ლარი; **ისნის რაიონში** მოეწყო 14 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 240.6 ათასი ლარი. აღდგა 13 სტადიონი, მოეწყო 1 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 1 023.9 ათასი ლარი; **კრწანისის რაიონში** მოეწყო 1 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 17.4 ათასი ლარი. აღდგა 2 სტადიონი, მოეწყო 1 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 146.2 ათასი ლარი; **მთაწმინდის რაიონში** მოეწყო 2 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 305.0 ათასი ლარი. აღდგა 2 სტადიონი, დაიხარჯა 162.6 ათასი ლარი; **ჩუღურეთის რაიონში** მოეწყო 7

ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 133.4 ათასი ლარი. აღდგა 13 სტადიონი, მოეწყო 1 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 134.7 ათასი ლარი. **საბურთალოს რაიონში** მოეწყო 7 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 710.5 ათასი ლარი. აღდგა 15 სტადიონი, მოეწყო 3 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 588.8 ათასი ლარი. **სამგორის რაიონში** მოეწყო 18 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 324.0 ათასი ლარი. აღდგა 14 სტადიონი, მოეწყო 4 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 1 779.7 ათასი ლარი; **ნაძალადევის რაიონში** მოეწყო 15 ფიტნეს ტრენაჟორის ლოკაცია, დაიხარჯა 264.2 ათასი ლარი. აღდგა 5 სტადიონი, მოეწყო 2 ახალი სტადიონი, დაიხარჯა 247.8 ათასი ლარი. არსებული საკითხების გათვალისწინებით გთხოვთ, რომ მიმდინარე კვირას ერთი შეხვედრა გავმართოთ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

რამინა ბერაძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)- საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამოცანაა, ადგილზე დაათვალიეროს და შეამოწმოს თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია თბილისის გამგეობებიდან სისტემატიურად იბარებს ანგარიშებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული *,,კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში" (კოდი: 020910-020919)* ფარგლებში განხორციელებული სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია *(საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი)".*

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე